ქალაქ თბილისის ტერიტორიების გამოყენებისა და განაშენიანების რეგულირების საკითხთა კომისიის სხდომის ოქმი №12

ქ. თბილისი 27 მარტი 2013 წელი.

სხდომას ესწრებოდნენ:

კომისიის თავმჯდომარის

მოადგილე კახაბერ ნიაური

კომისიის აღმასრულებელი

მდივანი ლევან გეგეშიძე

კომისიის წევრები: ნინო გვენცაძე, დავით აბულაძე, გია აბულაძე, გიორგი ჩაჩანიძე, ნიკოლოზ ჩხაიძე.

მოწვეულები: ლ. ძაგნიძე, ტ. კოპალიანი, ბ. მაღალაშვილი, კ. თევდორაძე, ი. ცაგარეიშვილი, გ. გურამიშვილი, მ. ჯანელიძე, ს. აბჟანდაძე, ს. კორეაული, ნ. სვანიძე, მ. ჩხაიძე, ვ. სოხაძე, თ. კლდიაშვილი, ილ. წულაია, რ. ტყემალაძე, თ. ესიავა, დ. ბაირამიშვილი, დ. აჯინიანი, გ. მაზმიშვილი, ნ. მაჩაიძე, ზ. ჩოხელი, ბ. ბუხსიანიძე, დ. მესხი, ა. ტარტარაშვილი, შ. ცქიფურიშვილი, გ. ბუჯიშვილი, დ. ფავლენიშვილი, ილ. დალაქიშვილი, მ. ხარაზიშვილი, ვ. თოფურია, ნ. მერმანიშვილი, ვ. მაისურაძე, ზ. შარაშენიძე, მ. თავართქილაძე, გ. მეფარიშვილი, მ. თაბუკაშვილი, გ. ლიფონავა, კ. ჯინიუზაშვილი, ე. ვარდიშვილი.

დ ღ ი ს წ ე ს რ ი გ ი:

1. ქ. თბილისში, ვაკის რაიონში, სოფელი თხინვალა, თელეების მიწაზე არსებულ ტერიტორიაზე ჩარჩო გეგმის შეთანხმების შესახებ.

(მოწვეული – ლ. ძაგნიძე).

2. ქ. თბილისში, გლდანის რაიონში, გლდანის დასახლებაში, მე-2 მიკრორაიონში, ფორე მოსულიშვილის ქუჩის მიმდებარედ არსებულ მიწის ნაკვეთზე (საკადასტრო კოდი: №01.11.12.012.067) მაღალი ინტენსიობის მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლის განთავსების მიზნით, ქალაქთმშენებლობითი პარამეტრების გაზრდის შესახებ.

(მოწვეულები – ტ. კოპალიანი, ბ. მაღალაშვილი, კ. თევდორაძე).

3. ქ. თბილისში, საბურთალოს რაიონში, იოსელიანის ქ. №№12,14-ში არსებულ მიწის ნაკვეთებზე (საკადასტრო კოდი: №№01.10.17.044.020, 01.10.17.044.003, 01.10.17.044.007) მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლის განთავსების მიზნით, ქალაქთმშენებლობითი პარამეტრების გაზრდის შესახებ.

(მოწვეული – ი. ცაგარეიშვილი).

4. ქ. თბილისში, ვაკის რაიონში, წყნეთის გზატკეცილი, II ჩიხი, №1 და №3-ში არსებულ მიწის ნაკვეთზე (საკადასტრო კოდი: №01.14.08.005.042) მშენებარე მრავალბინიანი საცხოვრებელი კომპლექსისთვის (ბლოკი I, ბლოკი II) ქალაქთმშენებლობითი პარამეტრების გაზრდის შესახებ.

(მოწვეულები – გ. გურამიშვილი, მ. ჯანელიძე).

5. ქ. თბილისში, სამგორის რაიონში, შუამთის ქ. №20-ში არსებულ მიწის ნაკვეთზე საოფისე კომერციულ ობიექტზე სართულის დაშენების მიზნით, სამშენებლოდ განვითარების მიზანშეწონილობის შესახებ.

(მოწვეულები – ს. აბჟანდაძე, ს. კორეაული).

6. ქ. თბილისში, ისნის რაიონში, ქურხულის ქ. №14-ში არსებულ მიწის ნაკვეთზე სასტუმროზე სართულის დაშენების მიზნით, ქალაქთმშენებლობითი პარამეტრების გაზრდის შესახებ.

(მოწვეულები – ნ. სვანიძე, მ. ჩხაიძე).

7. ქ. თბილისში, ვაკის რაიონში, ილ. ჭავჭავაძის გამზირზე, I შესახვევის №22ა-ში არსებულ მიწის ნაკვეთზე (საკადასტრო კოდი: №01.14.14.005.030) მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლის კორექტირების მიზნით, ქალაქთმშენებლობითი პარამეტრების გაზრდის შესახებ.

(მოწვეული – ე. სოხაძე).

დადგენილი პარამეტრები – კ1=0,5.
მოთხოვნილი პარამეტრები – კ1=0,9.

აზრი გამოთქვეს:

- არ არის მისაღები.
- არ არის მისაღები.
- არ არის მისაღებია.
- არ არის მისაღები.
- არ არის მისაღები.
- არ არის მისაღები.
- არ არის მისაღები.

უარი ეთქვას ქ. თბილისში, სამგორის რაიონში, შუამთის ქ. №20-ში არსებულ მიწის ნაკვეთზე საოფისე კომერციულ ობიექტზე სართულის დაშენების მიზნით, სამშენებლოდ განვითარებაზე.
განხილვის შედეგი: დასკვნა მიღებულია ერთხმად.

6. ნ. სვანიძის ინფორმაცია ქ. თბილისში, ისნის რაიონში, ქურხულის ქ. №14-ში არსებულ მიწის ნაკვეთზე სასტუმროზე სართულის დაშენების მიზნით, ქალაქთმშენებლობითი პარამეტრების გაზრდის შესახებ.

განმცხადებელი – კ. კახიანი. **AR 1118744**
დადგენილი პარამეტრები – კ1=0,5, კ2=2,1.
მინიჭებული პარამეტრები – კ1=0,7, კ2=3,3.
მოთხოვნილი პარამეტრები – კ2=3,8.

აზრი გამოთქვეს:

- მისაღებია.
- მისაღებია.
- არ არის მისაღები.
- მისაღებია.
- მისაღებია.
- მისაღებია.
- მისაღებია.

1. მიეცეს თანხმობა ქ. თბილისში, ისნის რაიონში, ქურხულის ქ. №14-ში არსებულ მიწის ნაკვეთზე სასტუმროზე სართულის დაშენების მიზნით, ქალაქთმშენებლობითი პარამეტრების გაზრდაზე.

2. არსებული ტერიტორიის განაშენიანების ინტენსივობის კოეფიციენტი განისაზღვროს: კ2=3,8.

რეკომენდაცია: მშენებლობის ნებართვის გაცემისას, გათვალისწინებული იქნეს „ადგილობრივი მოსაკრებლის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-5 მუხლის მე-5 პუნქტის, 122-ე მუხლისა და „ქალაქ თბილისის ტერიტორიებზე (ზონალური) შეთანხმების გაცემისათვის მოსაკრებლის განაკვეთების

განსაზღვრისა და გადახდის ინსტრუქციის დამტკიცების შესახებ“ ქ. თბილისის საკრებულოს 29.06.07 წლის №7-41 გადაწყვეტილებისა და ქ. თბილისის მთავრობის 2012 წლის 28 თებერვლის №06.11.162 დადგენილების მოთხოვნები.

განხილვის შედეგი: მომხრე: 6, წინააღმდეგი: 1.

7. ვ. სოხაძის ინფორმაცია ქ. თბილისში, ვაკის რაიონში, ილ. ჭავჭავაძის გამზირზე, I შესახვევის №22ა-ში არსებულ მიწის ნაკვეთზე (საკადასტრო კოდი: №01.14.14.005.030) მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლის კორექტირების მიზნით, ქალაქთმშენებლობითი პარამეტრების გაზრდის შესახებ.

განმცხადებელი – ვ. სოხაძე. AR 1118867
დადგენილი პარამეტრები – კ2=1,8.
მინიჭებული პარამეტრები – კ2=3,0, 3,5.
მოთხოვნილი პარამერები – კ2=3,8.

აზრი გამოთქვეს:

- არ არის მისაღები. ადგილმდებარეობიდან გამომდინარე ავტოსადგომების გაუქმება არ არის მისაღები.
- არ არის მისაღები. ავტოსადგომების გაუქმების ხარჯზე კოეფიციენტის გაზრდა არ არის მიზანშეწონილი.
- არ არის მისაღები. ავტოსადგომების გაუქმება არ არის მიზანშეწონილი.
- არ არის მისაღები.
- არ არის მისაღები. ავტოსადგომების გაუქმება არ არის მიზანშეწონილი.
- არ არის მისაღები.
- არ არის მისაღები.

უარი ეთქვას ქ. თბილისში, ვაკის რაიონში, ილ. ჭავჭავაძის გამზირზე, I შესახვევის №22ა-ში არსებულ მიწის ნაკვეთზე (საკადასტრო კოდი: №01.14.14.005.030) მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლის კორექტირების მიზნით, ქალაქთმშენებლობითი პარამეტრების გაზრდაზე.

განხილვის შედეგი: დასკვნა მიღებულია ერთხმად.

8. თ. კლდიაშვილის ინფორმაცია ქ. თბილისში, ვაკის რაიონში, ზ. ფალიაშვილის ქ. №86-ში არსებულ მიწის ნაკვეთზე არსებულ მრავალბიანიან საცხოვრებელ სახლზე აივნების წინ გაწევის მიზნით, ქალაქთმშენებლობითი პარამეტრების გაზრდის შესახებ.

განმცხადებელი – თ. კლდიაშვილი. AR 1118904
დადგენილი პარამეტრები – კ1=0,6, კ2=2,2.
მინიჭებული პარამეტრები – კ2=4,2, 5,0, კ1=0,7, 0,9.
მოთხოვნილი პარამეტრები –კ2=5,6.

აზრი გამოთქვეს:

- მისაღებია.
- არ არის მისაღები.

- მისაღებია ნორმების დაცვით.
- მისაღებია ნორმების დაცვით.
- მისაღებია ნორმების დაცვით და ამაჩქარებელ-შემანელებე გზის მოწყობით.
- მისაღებია.
- მისაღებია.
- მისაღებია.
- მისაღებია.

მიეცეს თანხმობა ქ. თბილისში, დიდუბის რაიონში, სტანისლავსკის ქ. №12-ში არსებულ მიწის ნაკვეთზე ავტოგაზგასამართი სადგურის განთავსების მიზნით, სპეციალური ზონალური ნებართვის გაცემაზე.

განხილვის შედეგი: დასკვნა მიღებულია ერთხმად.

კომისიის თავმჯდომარის

მოადგილე კახაბერ ნიაური

კომისიის აღმასრულებელი

მდივანი ლევან გელაშვილი

ქალაქ თბილისის მერი

განკარგულება № 602

« 2 » აპრილი 2013 წ.

ქ.თბილისში, ქურხულის ქ. №14-ში არსებულ მიწის ნაკვეთზე სასტუმროზე სართულის დაშენების მიზნით, ქალაქთმშენებლობითი პარამეტრების გაზრდის სპეციალური (ზონალური) შეთანხმების გაცემის შესახებ

„საქართველოს დედაქალაქის – თბილისის შესახებ“ საქართველოს კანონის 22-ე მუხლის მე-3 პუნქტის „ნ“ ქვეპუნქტის, “ქალაქ თბილისის ტერიტორიის გამოყენებისა და განაშენიანების რეგულირების წესების დამტკიცების თაობაზე“ ქალაქ თბილისის საკრებულოს 2009 წლის 27 მარტის №4-13 გადაწყვეტილებით დამტკიცებული ქალაქ თბილისის ტერიტორიის გამოყენებისა და განაშენიანების რეგულირების წესების 25-ე, 26-ე მუხლების და ქალაქ თბილისის ტერიტორიების გამოყენებისა და განაშენიანების რეგულირების საკითხთა კომისიის 2013 წლის 27 მარტის სხდომის №12 ოქმის შესაბამისად:

1.ქ.თბილისში, ქურხულის ქ. №14-ში არსებულ მიწის ნაკვეთზე სასტუმროზე სართულის დასაშენებლად, ქალაქთმშენებლობითი პარამეტრების გაზრდის ინტენსივობის კოეფიციენტის (კ2) გადამეტების მიზნით, გაიცეს სპეციალური (ზონალური) შეთანხმება საპროექტო წინადადებით, წარმოდგენილი პარამეტრების შესაბამისად და განისაზღვროს: კ2=3,8.

2.სპეციალური (ზონალური) შეთანხმების გაცემის მოსაკრებელი გადახდევინებულ იქნეს ”ადგილობრივი მოსაკრებლების შესახებ” საქართველოს კანონის მე-5 მუხლის მე-5 პუნქტის, 122-ე მუხლისა და ”ქალაქ თბილისის ტერიტორიებზე სპეციალური (ზონალური) შეთანხმების გაცემისათვის მოსაკრებლის განაკვეთების განსაზღვრისა და გადახდის ინსტრუქციის დამტკიცების შესახებ” ქ. თბილისის საკრებულოს 29.06.07. წლის №7-41 გადაწყვეტილების შესაბამისად და ქ. თბილისის მთავრობის 2012 წლის 28 თებერვლის №06.11.162 დადგენილების საფუძველზე ქ. თბილისის ბიუჯეტში გადასახდელი სპეციალური (ზონალური) მოსაკრებლისთვის გახსნილ ანგარიშზე. **მიმღების დასახელება: ქ. თბილისის მერია. მიმღების ბანკი: „სს ლიბერთი ბანკი.” ს/ფ. ბანკის კოდი: LBRTGE22 (220101480) ა/ანგარიში: GE35LB0125152101628468.**

3. დაევალოს ქალაქ თბილისის მერიის საჯარო სამართლის იურიდიულ პირს – ქალაქ თბილისის არქიტექტურის სამსახურს: შესაბამისი ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტების გამოცემისას, გაითვალისწინოს კომისიის რეკომენდაციები.

4.კონტროლი განკარგულების შესრულებაზე დაევალოს ქალაქ თბილისის მერიის საჯარო სამართლის იურიდიულ პირს – ქალაქ თბილისის არქიტექტურის სამსახურის უფროსს მ. კუნელაურს.

5.წინამდებარე ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის გასაჩივრება შესაძლებელია თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიაში (მისამართი: ქ. თბილისი, დავით აღმაშენებლის ხეივანი, მე-12 კილომეტრი №6), გაცნობიდან ერთი თვის ვადაში.

გიორგი უგულავა